შპს აჭარგანათება

ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების საზოგადოება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება წარმოადგენს ფუნქციონირებად ორგანიზაციას და ახლო მომავალში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად არის წარდგენილი ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ. ყველა ეკონომიკური მოვლენა შეფასების და აღიარების კრიტერიუმების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი.

ანგარიშგების მომზადების დროს ასევე გამოყენებულია ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგიით და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა და დამტკიცებული ანგარიშთა გეგმა.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები

ფინანსური ანგარიშგების პაკეტი მოიცავს:

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი);
2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს
3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშს
4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშს
5. ახსნა-განმარტებით შენიშვნებს

საანგარიშგებო პერიოდი

ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია 2022 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,007,428.00	2,462,401.00	450,269.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,675,480.00	99,977.00	51,136.00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1,613,696.00	544,320.00	-
მარაგები	1,022,988.00	288,117.00	273,414.00
მზა პროდუქცია	11,496.00	11,501.00	273,414.00
სხვა	1,011,492.00	276,616.00	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	-	19,132.00
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-	-
გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-	-
ძირითადი საშუალებები	2,769,394.00	2,883,460.00	2,845,882.00
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	2,222.00	162,824.00	175,088.00
სულ აქტივები	14,091,208.00	6,441,099.00	3,814,921.00

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	3,900.00	3,900.00	-
სავაჭრო ვალდებულებები	2,329,250.00	674,336.00	-
ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	32.00	-	20,664.00
საგადასახადო ვალდებულებები	400,017.00	92,729.00	97,197.00
გამოუმუშავებელი შემოსავალი	1,000,080.00	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			

	-	150,419.00	250,000.00
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3,036,186.00	2,183,278.00	8,985.00
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	6,769,465.00	3,104,662.00	376,846.00

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	250.00	146,285.00	146,285.00
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	5,176,160.00	1,007,855.00	1,107,910.00
გადაფასების რეზერვი	2,145,333.00	2,182,297.00	2,183,880.00
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	7,321,743.00	3,336,437.00	3,438,075.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	14,091,208.00	6,441,099.00	3,814,921.00
სულ მოკლევადიანი აქტივები	11,319,592.00	3,394,815.00	793,951.00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2,733,167.00	921,384.00	367,861.00

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**31/12/2022**	**31/12/2021**
ნეტო ამონაგები	11,451,375.00	4,318,212.00
საქონლის გაყიდვიდან	-	-
მომსახურების გაწევიდან	11,451,375.00	4,318,212.00
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-

სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	(3,567,619.00)	(783,864.00)
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	7,883,756.00	3,534,348.00
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,327,262.00)	(511,866.00)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(88,445.00)	(161,957.00)
საპროცენტო შემოსავალი	3,570.00	5,994.00
საპროცენტო ხარჯი	(327,435.00)	(48,744.00)
იჯარის ხარჯი	(86,567.00)	(61,917.00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,339,317.00)	(2,704,821.00)
სულ საოპერაციო ხარჯები	(3,165,456.00)	(3,483,311.00)
საოპერაციო მოგება	4,718,300.00	51,037.00

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(115,215.00)	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	863,200.00	17,140.00
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	5,466,285.00	68,177.00
მოგების გადასახადის ხარჯი	(271,172.00)	(4,529.00)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	5,195,113.00	63,648.00

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	(36,963.00)	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	(36,963.00)	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	5,158,150.00	63,648.00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3,336,437.00	3,438,075.00
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(1,026,700.00)	(165,286.00)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(109.00)	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(146,035.00)	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7,321,743.00	3,336,437.00

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2022**	**31/12/2021**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	993,465.00	2,208,679.00
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1,026,189.00	(218,631.00)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	525,373.00	22,084.00
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	2,545,027.00	2,012,132.00
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2,462,401.00	450,269.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5,007,428.00	2,462,401.00

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	250.00	146,285.00	146,285.00
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	5,176,160.00	1,007,855.00	1,107,910.00
გადაფასების რეზერვი	2,145,333.00	2,182,297.00	2,183,880.00
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	7,321,743.00	3,336,437.00	3,438,075.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	14,091,208.00	6,441,099.00	3,814,921.00

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს აჭარგანათება-ს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

შპს აჭარგანათება (შემდეგში საწარმო) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში, რეგისტრირებულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში 2005 წლის 22 დეკემბრიდან წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერია **245546486**;

იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, ოძელაშვილის 20.

2021 წლიდან, სადამფუძნებლო ცვლილების თანახმად, საწარმოს დამფუძნებელი და მფლობელია ფიზიკური პირი:

ზოია დოლიძე (61001000249) - 100 %

დირექტორი - ნიკოლოზ თოფურიძე (61001021784)

შპს აჭარგანათება რეგისტრაციის დღიდან ახორციელებს:

ელექტროტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები

ელექტროგაყვანილობისა და არმატურის დაყენება

საბითუმო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით

საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

2.1 შესაბამისობის პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

2.2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. საწარმო არ ფლობს ისეთ ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით. ისტორიული ღირებულება, ჩვეულებრივ განისაზღვრება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადაცემული ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულება განისაზღვრება როგორც ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული გარიგების დროს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საწარმო განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფულადი სახსრები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს

არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

2.3 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საწარმოს სამუშაო ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“. ვალუტა, რომლითაც განსაზღვრულია საწარმოს საქონლისა და მომსახურების გასაყიდი ფასები და რითაც ხდება ანგარიშსწორება. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა - ლარი.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწედებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

2.4 ამონაგების აღიარება

2.4.1 მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება ყოველი შესრულებული სამუშაოს მოხდენის თანავე დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

2.4.2. საქონლის გაყიდვა და მომსახურების გაწევა

გაყიდვებთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საქონლის (მომსახურების) მიწოდების და საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ფასდაკლებებით.

საწარმო მომსახურებიდან ამონაგებს აღიარებს მომსახურების გაწევის შესაბამის საანგარიშგებო პერიოდებში. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისათვის მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება. მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

ბ) საწარმოში მოსალოდნელია მომსახურების ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა;

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საწარმოს მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას.

2.5 მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიან გასამრჯელოებთან დაკავშირებული გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ სტანდარტის რომელიმე თავი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში. ანალოგიურად, ანაზღაურებადი შვებულების ფორმის დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არყოფნის ფაქტი.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გაიცა. გასაცემ დივიდენდებზე შეზღუდვა არ არსებობს და მოგების გადასახადის დარიცხვა ხდება გაცემული დივიდენდების ოდენობის გათვალისწინებით კანონის მოთხოვნის შესაბამისად.

ორგანიზაციის შემოსავლების არსებით წილს შეადგენს მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლებული შემოსავლები და დივიდენდები პირველ რიგში გაიცემა ამ მოგებიდან პროპორციის გაუთვალისწინებლად. საქართველოს საგადასახადო სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ

წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. საწარმოს მფლობელისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, შეფასდება მისი თვითღირებულებით.

თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ძირითადი

საშუალებები კლასიფიცირებულია გამოყენების ფორმის შესაბამისად. აქტივები, რომლებიც

შინაარსით წარმოადგენენ ძირითად საშუალებებს, მათი გამოყენების ვადა არსებითია, მაგრამ

ღირებულება შეადგენს 1000 ლარზე ნაკლებს, გამოყენების ფორმის მიუხედავად ბალანსზე

აისახება ძირითად საშუალებების ცალკე ანგარიშზე.

აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ერთეული აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ყოველი პერიოდის ცვეთის თანხა, ჩვეულებრივ, ხარჯად აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5 %
ავეჯი და ინვენტარი	20 %
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	20 %
სატრანსპორტო საშუალებები	20 %

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადასინჯვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით.

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა არ კლასიფიცირდება როგორც ამონაგები. შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, განისაზღვრება, როგორც სხვაობა წმინდა გასავლის ამონაგებსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

მიმდინარე საანგარიშგებო წელს ჩამოიწერა და გასხვისდა გარკვეული სახის ძირითადი საშუალება, ასევე მოხდა შეძენა, რაც ფინანსური მდგომარეობის და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისებში სხვაობის თანხით აისახა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოხდა ძრითადი საშუალებების გადაფასება და ნამეტი თანხა ჩაიწერა გადაფასების რეზერვში. 2022 წელს მოხდა ცვლილება გადაფასების რეზერვში, სხვაობის ციფრი - 36963 ლარი.

2.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი.

არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

მოსალოდნელია, რომ

(ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და

(ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. ჯგუფის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რო დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

2.9 მარაგები

საწარმოს მარაგები შეფასებულია მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებულ ყველა ხარჯს. მათ შორის შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს, იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებიდან უბრუნდება საწარმოს, აგრეთვე სატრანსპორტო, დამზადების ხარჯებს და სხვ. სავაჭრო დათმობა, სავაჭრო დანამატი და ა.შ. არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ყველა მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის საწარმო იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, შესაბამისად, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს.

მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ამცირებს ამავე პერიოდში ხარჯად აღიარებული მარაგის თანხას.

2.10 ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმო მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველი აღიარებისას საწარმო ფინანსურ აქტივსა და ფინანსურ ვალდებულებას აფასებს რეალური ღირებულებით, რომელსაც დამატებული ან გამოკლებული აქვს გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

2.11 მოთხოვნების გაუფასურება

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახულ მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი წარმოიშვა, გაუფასურები ზარალის ოდენობა უნდა შეფასდეს, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორი. აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის თანხა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ადგენს, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობას ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისათვის და განცალკევებით ან ერთობლივად ისეთი ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის მნიშვნელოვანი.

2.12 ფინანსური ვალდებულებები

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და წარმოდგენილია სავაჭრო ვალდებულებებისა და სხვა ვალდებულებების სახით.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო ვალდებულებები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საქონელზე ან მომსახურებებზე სავაჭრო ურთიერთობების განხორციელებისას კონტრაგენტი საბალანსო ანგარიშებში ფორმირდება გადახდილი ან გადასახდელი ღირებულების ფორმის შესაბამისად დებიტორად ან კრედიტორად, თუმცა განგრძობადი ურთიერთობის შემდგომ არ ხდება მისი საბალანსო მდგომარეობის შეცვლა და შესაბამისად აღნიშნულ ანგარიშებზე შესაძლოა წარმოიშვას უარყოფითი ნაშთი.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

2.13 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან.

2.14 ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგი მოვლენები მოიცავს ყველა მოვლენას, ბალანსის შედგენის თარიღიდან ფინანსური ანგარიშგების წარდგენისათვის ნების დართვის თარიღამდე, თუნდაც მას ადგილი ჰქონდეს მოგების გამოცხადების ან სხვა შერჩეული ფინანსური ინფორმაციის წარდგენის შემდეგ.

საწარმო ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირებას ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მაკორექტირებელი მოვლენის ასახვის მიზნით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენის ხასიათისა და ფინანსური ეფექტის შესახებ ინფორმაცია აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

Adjarganateba LLC

Digitally signed by Adjarganateba LLC
Date: 2023.09.29 18:40:40 +04'00'